საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011720136453218

მისამართი: თბილისი 0114, სანაპიროს ქ. #2; www.nagc.gov.ge;

ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 66052 **08 / თებერვალი / 2018 წ.**

გურამ ონიანს,
თბილისი, აგრ. უნივერს. დას. N 2ა ბ. 5

ბატონო გურამ,

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2018 წლის 07 თებერვალს წარმოდგენილი თქვენი № **82133/17** განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული საკადასტრო რუკის მონაცემებით, ინფორმაციის მომზადების მომენტისათვის, განცხადებაზე წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი ს/კ.**-01.10.17.013.019** არ არის ზედდებაში უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში უფლებარეგისტრირებულ სხვა უძრავ ნივთებთან.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის N4 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო რეესტრის შესახებ" ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად რეგისტრაციის მიზნებისთვის, უძრავი ნივთის დაზუსტებული საკადასტრო მონაცემები ნიშნავს ამ ინსტრუქციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილ, საჯარო რეესტრში დაცულ საკადასტრო ინფორმაციას, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები მიიჩნევა დაუზუსტებლად. ზემოთადნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული საკადასტრო რუკის მონაცემები არ იძლევა განცხადებაზე თანდართულ ნახაზზე წარმოდგენილ ტერიტორიაზე დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების მქონე უფლებარეგისტრირებულ უძრავ ნივთებზე ინფორმაციის სრულყოფილად მოძიების საშუალებას.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი

პატივისცემით,

კადასტრის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი დავით კაპანაძე

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის წევრთა კრების ოქმი №2

ქ. თბილისი

18 ოქტომბერი 2017 წელი

კრებას ესწრებოდნენ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. 25“-ის წევრები: **თამარ შანიძე** (პირადი №01026004310), **ედუარდ მირზოიანი** (პირადი №01013013978), **გურამ ონიანი** (პირადი №01025014420)

თენგიზ შალაშვილი (პირადი №01024055411, გარდაცვლილია)

კრებას თავმჯდომარეობდა გურამ ონიანი

კრება გადაწყვეტილებაუნარიანია.

დღის წესრიგი:

ქ. თბილისში, ქარელის ქ. №25-ში მშენებარე უძრავი ნივთზე წითელი ხაზების ცვლილება

მოისმინეს ამხანაგობის თავმჯდომარის გურამ ონიანის ინფორმაცია:

მან აღნიშნა, რომ მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, ქარელის ქ. №25,** იცვლება წითელი ხაზები და წარმოგიდგენთ კრებას შპს „კორს პოინტი“-ს მიერ შესრულებულს ნახაზს წითელი ხაზების ცვლილებასთან დაკავშირებით.

კრებამ დაადგინა:

მოწონებულ იქნას უძრავ ნივთზე, მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, ქარელის ქ. №25,** ს/კ 01.10.17.013.019, წითელი ხაზების ცვლილება შპს „კორს პოინტი“-ს მიერ 26.05.2015 წელს შესრულებული ნახაზის შესაბამისად.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

გურამ ონიანი გურამ ონიანი

თამარ შანიძე თამარ შანიძე

ედუარდ მირზოიანი ედუარდ მირზოიანი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171223603
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.10.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	17170112499417

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, **ორი ათას ჩვიდმეტი წლის თვრამეტი ნოემბერი**. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, ვამოწმებ **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის წევრთა №2 კრების ოქმზე (18.10.2017 წელი)**, რომელიც წარმოდგენილია ორ ცალად, **თამარ შანიძის** (დაბადებული 05.07.1969 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ქარელის ქ. №25, პირადი №01026004310), **ედუარდ მირზოიანის** (დაბადებული 14.02.1972 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ვარკეთილი 3-ის დას. IIIა მ/რ, კორ. 338, ბინა 131, პირადი №01013013978) და **გურამ ონიანის** (დაბადებული 04.06.1957 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, აგრ. უნივერსიტეტის დას. №2ა, ბინა 5, პირადი №01025014420) ხელმოწერების ნამდვილობას. ხელმოწერები შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით. მათი ვინაობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეებს.

გადახდილია საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად, 12.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 2.16 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 2.00 ლარი, სულ 16.16 ლარი.

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. 25“-ის წევრთა კრების ოქმი

ქ. თბილისი

16 დეკემბერი 2015 წელი

კრებას ესწრებოდნენ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. 25“-ის წევრები: თამარ შანიძე (პირადი № 01026004310), მზია ჯაბაური (პირადი № 06001000806), ედუარდ მირზოიანი (პირადი № 01013013978), გურამ ონიანი (პირადი № 01025014420), და თენგიზ შალაშვილის (პირადი № 01024055411) წარმომადგენელი გიორგი შაგაშვილი (პირადი № 01024067690), თანახმად მინდობილობისა, დადასტურებული 12.11.2013 წელს ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელის მიერ, რეგ. №131191126.

კრება გადაწყვეტილებაუნარიანია.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
2. სამშენებლო ობიექტზე საცხოვრებელი ფართის გაზრდა, დუპლექსის ტიპის ერთი სართულის დაშენებით.

<u>მოისმინეს:</u>

1. დღის წესრიგის 1-ლ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს გურამ ონიანის ინფორმაცია მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.
2. დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს გურამ ონიანის ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე საცხოვრებელი ფართის გაზრდის შესახებ დუპლექსის ტიპის ერთი სართულის დამატებით.

<u>დაადგინეს:</u>

1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. 25“-ის მშენებლობის მიმდინარეობა შეფასდეს დადებითად.
2. გაიზარდოს საცხოვრებელი ფართი სამშენებლო ობიექტზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ქარელის ქ. №25, დუპლექსის ტიპის ერთი სართულის დამატებით.

გადაწყვეტილებები მიღებულია ერთხმად.

თამარ შანიძე

მზია ჯაბაური

ედუარდ მირზოიანი

გურამ ონიანი

თენგიზ შალაშვილი
წარმომადგენელი – გიორგი შაგაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N151360766
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.12.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნარგიზა ჯანხოთელი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი რუსთაველის გამზ. 18**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	36815224743215

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, **ორი ათას თხუთმეტი წლის თექვსმეტი დეკემბერი**. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, ვამოწმებ **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. 25“-ის წევრთა კრების ოქმზე (16.12.2015 წელი)**, რომელიც წარმოდგენილია ორ ცალად, **თამარ შანიძის** (დაბადებული 05.07.1969 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ქარელის ქ. №25, პირადი № 01026004310), **მზია ჯაბაურის** (დაბადებული 06.02.1964 წელს, რეგ. მისამართი: ახალგორი. სოფ. ქურთა; ამჟ. მცხ. (დრ. მცხ.) ხობის რ-ნი, სოფ. ხამისყური, პირადი №06001000806), **ედუარდ მირზოიანის** (დაბადებული 14.02.1972 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ვარკეთილი 3, IIIა მ/რ, კორ. 338, ბინა 131, პირადი № 01013013978), **გურამ ონიანის** (დაბადებული 04.06.1957 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, აგრ. უნივერსიტეტის დას. №2ა, ბინა 5, პირადი № 01025014420) და **გიორგი შაგაშვილის** (დაბადებული 13.04.1990 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ქარელის ქ. №25, პირადი № 01024067690) ხელმოწერის ნამდვილობას. ხელმოწერა შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით. მათი ვინაობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეებს.

გადახდილია საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507-ე დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად, 20.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 3.60 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 2.00 ლარი, სულ 25.60 ლარი.

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის წევრთა კრების ოქმი №2

ქ. თბილისი 10 თებერვალი 2016 წელი

კრებას ესწრებოდნენ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. 25“-ის წევრები: **მზია ჯაბაური** (პირადი № 06001000806), **ედუარდ მირზოიანი** (პირადი № 01013013978), **გურამ ონიანი** (პირადი № 01025014420), **აკაკი მოსაშვილი** (პირადი № 01001003808) და **თენგიზ შალაშვილი** (პირადი № 01024055411).

კრებას არ ესწრებოდა **თამარ შანიძე** (პირადი № 01026004310). მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

<u>დღის წესრიგი:</u>

ამხანაგობის წევრის – აკაკი მოსაშვილის გასვლა ამხანაგობიდან;

<u>მოისმინეს:</u>

გურამ ონიანის ინფორმაცია აკაკი მოსაშვილის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ აკაკი მოსაშვილმა მიმართა განცხადებით ამხანაგობიდან გასვლის შესახებ, რადგან ვერ ხედავს მისი ამხანაგობაში დარჩენის ინტერესს. გურამ ონიანს მიაჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს აკაკი მოსაშვილის განცხადება ამხანაგობიდან გასვლის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

ამხანაგობის წევრები დაეთანხმნენ წინადადებას.

<u>დაადგინეს:</u>

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის წევრი – აკაკი მოსაშვილი გასულად ჩაითვალოს ამხანაგობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

მზია ჯაბაური

ედუარდ მირზოიანი

გურამ ონიანი

თენგიზ შალაშვილი

აკაკი მოსაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160115814
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	10.02.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	31786242578016

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, **ორი ათას თექვსმეტი წლის ათი თებერვალი**. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, ვამოწმებ **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. 25“-ის წევრთა №2 კრების ოქმზე (10.02.2016 წელი)**, რომელიც წარმოდგენილია ორ ცალად, **მზია ჯაბაურის** (დაბადებული 06.02.1964 წელს, რეგ. მისამართი: ახალგორი. სოფ. ქურთა; ამჟ. მცხ. (დრ. მცხ.) ხობის რ-ნი, სოფ. ხამისყური, პირადი №06001000806), **ედუარდ მირზოიანის** (დაბადებული 14.02.1972 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ვარკეთილი 3, IIIა მ/რ, კორ. 338, ბინა 131, პირადი № 01013013978), **გურამ ონიანის** (დაბადებული 04.06.1957 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, აგრ. უნივერსიტეტის დას. №2ა, ბინა 5, პირადი № 01025014420), **აკაკი მოსაშვილის** (დაბადებული 08.06.1950 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, გლდანი II/რ, კორ. 40, ბინა 21, პირადი № 01001003808) და **გიორგი შაგაშვილის** (დაბადებული 13.04.1990 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ქარელის ქ. №25, პირადი № 01024067690) ხელმოწერის ნამდვილობას. ხელმოწერა შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით. მათი ვინაობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეებს.

გადახდილია საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507-ე დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად, 20.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 3.60 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 2.00 ლარი, სულ 25.60 ლარი.

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი


0102900685

ხელშეკრულება
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო
ამხანაგობა "ქარელის ქ.25" დაფუძნების შესახებ
(ახალი რედაქცია)

თბილისი
2013 წელი

მუხლი 1. მხარეების შესახებ

1. წინამდებარე გარიგების მხარეები არიან:

1.1. ერთის მხრივ ქ.თბილისში, ქარელის ქუჩა № 25-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ქვემოთ მითითებული მესაკუთრეები:

№	სახელი, გვარი	დაბადების თარიღი	პირადი №	საცხოვრებელი ადგილი	შენიშვნა
1	თამარ შანიძე	05.07.1969	01026004310	თბილისი, ქარელის 25	მიწის ნაკვეთის მესაკუთრე
2	მზია ჯაბაური	06.02.1964	06001000806	ახალგორი, ქურთა	მიწის ნაკვეთის მესაკუთრე
3	ედუარდ მირზოიანი	14.02.1972	01013013978	თბილისი, ვარკეთილი-3, 3-ა მ/რ, კ. 338, ბ.131	მიწის ნაკვეთის მესაკუთრე
4	თენგიზ შაღაშვილი	27.10.1954	01024055411	თბილისი, ქარელის ქუჩა № 25	ფართის მესაკუთრე

1.2. მეორეს მხრივ ინვესტორები

№	სახელი, გვარი	დაბადების თარიღი	პირადი №	საცხოვრებელი ადგილი	შენიშვნა
1	აკაკი მოსაშვილი	08.06.1950	01001003808	თბილისი, გლდანი, 2 მ/რ, კ, 40, ბინა 21	ინვესტორი
2	გურამ ონიანი	04.06.1957	01025014420	თბილისი, აგრარული უნივერსიტეტისდ ასახლება № 2-ა, ბინა № 5	ინვესტორი

მუხლი 2. ტერმინების შესახებ

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები აღნიშნავს შემდეგს:

2.1. "მხარე" – ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული ერთ-ერთი პირი;

2.2. "მხარეები" – ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული პირები ერთდროულად;

2.3. "მესამე პირი" – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი (ასევე არაიურიდიული პირი), გარდა მხარეებისა;

2.4. "მესაკუთრე" – 1-ლი მუხლის 1.1. პუნქტში მითითებული პირები;

2.5. "ინვესტორი" – 1-ლი მუხლის 1.2. პუნქტში მითითებული პირები ან ამ პირების წილის (წილის ნაწილის) შემძენი, რომელსაც შესატანის სახით შეაქვს ან ვალდებულია შეიტანოს ფულადი სახსრები ამხანაგობაში და უზრუნველყოფს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას;

2.6. "ამხანაგობა" ან "სამშენებლო ამხანაგობა" – მხარეების მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით შექმნილი არაიურიდიული პირი, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის მიიჩნევა საწარმოდ.

2.7. "ამხანაგობის წევრი" – ამხანაგობის დამფუძნებელი და შემდგომი წევრი;

2.8. "ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი" – ამხანაგობის წევრი, რომელმაც ხელი მოაწერა წინამდებარე ხელშეკრულებას და განახორციელა ან განახორციელებს შესატანს ამხანაგობაში, შეესაბამება ტერმინს "მხარე" ან "მხარეები".

2.9. "ამხანაგობის შემდგომი წევრი" – ამხანაგობის წევრი, რომელიც შეიძებს წილს ან წილის ნაწილს ამხანაგობის წევრისაგან.

2.10. "საცხოვრებელი სახლი" - თბილისში, ქარელის ქუჩა № 25-ში ასაშენებლი მრავალბინიანი და მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი.

2.11. "მიწის ნაკვეთი" – მესაკუთრეების – თამარ შანიძის, მზია ჯაბაურის, ედუარდ მირზოიანისა და თენგიზ შაღაშვილის თანასაკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობით 742.00 კვ.მ., მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქარელის ქუჩა № 25 (რომლის მახასიათებლებია: ზონა – თბილისი 01, სექტორი – საბურთალო 10, კვარტალი – 17, ნაკვეთი – 013/019, ნაკვეთის საკუთრების ტიპი - თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი – 742.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – 01.10.17.013.013; 01.10.17.013.014, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: № 1, № 2, № 3 და № 4, მისამართი: ქალაქი თბილისი, ქარელის ქუჩა № 25), რომელზეც უნდა აშენდეს საცხოვრებელი სახლი.

2.12. "შესატანი" – ამხანაგობის წევრის მიერ ამხანაგობაში შეტანილი უძრავი ან მოძრავი ქონება, არამატერიალური ქონება, ფულადი სახსრები, აგრეთვე მომსახურების გაწევა და სამუშაოების შესრულება, რაც აუცილებელია ამხანაგობის მიზნების მისაღწევად.

2.13. "წილი" – ამხანაგობის წევრის კუთვნილი არამატერიალური ქონებრივი სიკეთე ამხანაგობაში, რომელიც შეესაბამება ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში მისაღები ფართის ოდენობას კვადრატულ მეტრებში.

2.14. "საჯარო რეესტრი" - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური.

2. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მნიშვნელობა.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

1. ერთობლივი საქმიანობის "ამხანაგობის" საგანია სამშენებლო ამხანაგობის შექმნა ქ.თბილისში, ქარელის ქუჩა № 25-ში მდენარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი და მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და აშენებულ საცხოვრებელ სახლში ამხანაგობის წევრებს შორის საცხოვრებელი და არასაცხვორებელი ფართების განაწილების მიზნით.
2. საცხოვრებელ სახლში ბინების რაოდენობა, თითოეული ბინის ფართი და სხვა მახასიათებლები დადგინდება შესაბამისი სამშენებლო პროექტისა და მშენებლობის ნებართვის მიხედვით.

მუხლი 4. სახელწოდება:

ამხანაგობის სახელწოდებაა:

1. სრულად: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ. № 25";
2. შემოკლებით: სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ. № 25".

მუხლი 5. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი

1. ამხანაგობის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, ქარელის ქუჩა № 25.

2. ამხანაგობის ფაქტობრივი მისამართია: ქ.თბილისი, ქარელის ქუჩა № 25.
3. ამხანაგობის მოქმედების ვადა განსაზღვრულია და იგი მთავრდება აშენებული საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და განაწილებული ინდივიდუალური ბინების საჯარო რეესტრში ამხანაგობის ყველა წევრზე რეგისტრაციისთანავე.

თავი II. მხანაგობის წევრები

მუხლი 6. დამფუძნებელი და შემდგომი წევრები

1. ამხანაგობას ჰყავს დამფუძნებელი და შემდგომი წევრები.
2. ამხანაგობის დამფუძნებლები არიან ამ ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტში მითითებული პირები ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან და ისინი ასევე არიან გამგეობის წევრები, ამანაგობაში შემდგომ შემოსული წევრები ავტომატურად არ ხდებიან გამგეობის წევრები.
3. ამხანაგობის შემდგომი წევრია ყველა ის პირი, ვინც ამხანაგობის დაფუძნების შემდეგ ამხანაგობის წევრი გახდება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
4. ამხანაგობის წევრები აისახებიან "ამხანაგობის წევრთა ჟურნალში", რომელსაც აწარმოებს ამხანაგობის თავმჯდომარე. "ამხანაგობის წევრთა ჟურნალი" უნდა იყოს აკინძული და დალუქული.

მუხლი 7. ამხანაგობის წევრად გახდომა

1. მესამე პირი ამხანაგობის წევრი შეიძლება გახდეს წილის (წილის ნაწილის) შეძენით ან მემკვიდრეობით.
2. წილის (წილის ნაწილის) შეძენა ხორციელდება წილის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე. წილის (წილის ნაწილის) შემძენზე გადადის წილის დამთმობის ყველა უფლება და ვალდებულება შეძენილი წილის პროპორციულად.
3. რამდენიმე მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში მათზე წილი გადადის თანაბრად, თუ მათ შორის სხვა შეთანხმება არ იქნება მიღწეული.
4. ახალი წევრი აისახება ბინების განაწილების განრიგში და ჩაიწერება "ამხანაგობის წევრთა ჟურნალში".

მუხლი 8. ამხანაგობის წევრობის შეწყვეტა

1. ამხანაგობის წევრობა წყდება შემდეგ შემთხვევებში:
   1.1. ამხანაგობიდან გასვლისას;
   1.2. ამხანაგობიდან გარიცხვისას;
   1.3. წილის სრულად დათმობისას;
   1.4. ამხანაგობაში კუთვნილი ინდივიდუალური ფართის საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას;
2. ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში იგი ამოიშლება "ამხანაგობის წევრთა ჟურნალიდან" და მიეთითება წევრობის შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 9. წევრის გასვლა

1. ამხანაგობიდან წევრის გასვლა დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას.
2. წევრის გასვლა არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას და ამხანაგობის გაუქმებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამხანაგობის წევრთა ოდენობა შემცირდება ერთ წევრამდე.
3. წევრმა გასვლის შესახებ წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ამხანაგობის თავმჯდომარეს. მხანაგობიდან გასვლის საკითხის დაყენება შეიძლება მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრებამდე 3 (სამი) თვით ადრე.

4. წევრის გასვლის საკითხს წყვეტს გამგეობა განცხადებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის განმავლობაში. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.
5. გამსვლელ წევრს წილის კომპენსაცია მიეცემა ამხანაგობის ქონებიდან მხოლოდ ფულადი სახით.
6. კომპენსაციის გაცემისას მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის ამხანაგობის არსებული ვალდებულებები და შეუსრულებელი გარიგებები. ამხანაგობიდან გასვლასთან დაკავშირებული ხარჯები დაეკისრება გამსვლელ წევრს.
7. გამსვლელ წევრზე კომპენსაციის გადახდა მოხდება გამგეობის გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ. ამ ვადის გაგრძელება შეიძლება წევრთა შეთანხმების საფუძველზე.
8. გასული წევრის წილი პროპორციულად გადანაწილდება ინვესტორებზე და მიემატება მათ წილებს.

მუხლი 10. წევრის გარიცხვა

1. ამხანაგობის წევრი შეიძლება გარიცხულ იქნას ამხნაგობიდან, თუ:
   1.1. მისი მოქმედება ხელს უშლის ამხანაგობას მიზნის მიღწევაში ან იგი ზიანს აყენებს ამხანაგობას;
   1.2. იგი არ შეიტანს დათქმულ შესატანს ამხანაგობაში.
2. წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა სიითი შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, ამხანაგობიდან გარიცხვა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.
3. ამხანაგობიდან გარიცხული წევრი კარგავს წილსა და მასთან დაკავშირებულ უფლებებს.
4. თუ წევრი (გარდა მესაკუთრეებისა) გაირიცხება ამ მუხლის 1.1. პუნქტის მიხედვით, მას უკან დაუბრუნდება მის მიერ განხორციელებული შესატანი, იმ ზიანის გამოკლებით, რაც განიცადა ამხანაგობამ წევრის ხელისშემშლელი მოქმედებებით.
5. წევრის მიერ მიყენებული ზიანის ოდენობა დადასტურებული უნდა იყოს აუდიტორული დასკვნით, რომლის ხარჯებსაც გაიღებს ამხანაგობა. თუ გარიცხული წევრი არ ეთანხმება ზიანის ოდენობას, მას შეუძლია თავად მოიწვიოს სხვა აუდიტორი. თუ აუდიტორულ დასკვნებს შორის სხვაობა არ აღემატება 5 %-ს, მხედველობაში მიიღება ამხანაგობის აუდიტორული დასკვნა.

თავი III. შესატანები

მუხლი 11. შესატანი ამხანაგობაში

1. ამხანაგობის შესატანი წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას. ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს აგრეთვე მის მიერ შეძენილი ქონება.
2. დათქმული შესატანის შეუტანლობის შემთხვევაში ამხანაგობის წევრი შეიძლება გაირიცხოს ამხანაგობიდან (გარდა მესაკუთრისა) ან დაეკისროს ამხანაგობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 12. მესაკუთრის შესატანი ამხანაგობაში

1. მესაკუთრეები ამხანაგობას გადასცემენ სარგებლობის უფლებას მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქარელის ქუჩა № 25 (საკადასტრო კოდი № 01.10.17.013.019), ასევე აღნიშნულ ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის აშენების უფლებას.
2. მესაკუთრეები კისრულობენ ვალდებულებას საცხოვრებელი სახლის სამი სართულის აშენების შემდგომ შესატანის სახით საკუთრების უფლებით გადასცენ ამხანაგობას:

- მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით;
- აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შესაბამისი სამშენებლო პროექტი;
- საცხოვრებელ სახლზე მშენებლობის ნებართვა.

3. მესაკუთრეების აღნიშნული ვალდებულება ამხანაგობის სასარგებლოდ უნდა აისახოს საჯარო რეესტრის ჩანაწერებში. ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებამდე მესაკუთრეებს უფლება არა აქვთ გაყიდონ ან იპოთეკით დატვირთონ ამხანაგობისათვის გადასაცემი უძრავი ნივთი.
4. მესაკუთრეების მიერ ამხანაგობაში შესატანი მიწის ნაკვეთების ღირებულება (აშენებული შენობა-ნაგებობის გარეშე) განისაზღვრება ამხანაგობისათვის გადაცემის დღისათვის, შესაბამისი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 13. ინვესტორების შესატანები ამხანაგობაში

1. ინვესტორების შესატანს ამხანაგობაში წარმოადგენს:
   - აკაკი მოსაშვილის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენს იმ ოდენობის ფულადი სახსრების შეტანა, რაც უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებას დამტკიცებული პროექტის მიხედვით, აგრეთვე ამხანაგობის მიერ მესაკუთრეებისა და მესამე პირების წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება, აგრეთვე შემდეგი მომსახურეობის გაწევა:

1) დამტკიცებული პროექტის მიხედვით საცხოვრებელი სახლის მშენებლობა;
2) საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და აშენებული ინდივიდუალური ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უზურნველყოფა;
3) საცხოვრებელი სახლის პროექტის შედგენის ორგანიზაციულ-ფინანსური უზრუნველყოფა;
4) მშენებლობის ნებართვის აღების ორგანიზაციულ-ფინანსური უზრუნველყოფა.

   - გურამ ონიანის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენს 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

მუხლი 14. დამატებითი შესატანი

1. გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს ამხანაგობაში წევრების მიერ დამატებითი შესატანების შეტანა. ასეთი გადაწყვეტილება საჭიროებს გამგეობის 4/5-ს უმრავლესობას.
2. დამატებითი შესატანები შეიტანება წილების პროპორციულად.
3. დამატებითი შესატანები მოხმარდება ამხანაგობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
4. ამხანაგობის წევრმა თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება შეიტანოს აგრეთვე მიზნობრივი დამატებითი შესატანი, რომელიც მოხმარდება მხოლოდ მისი კუთვნილი ფართის გაუმჯობესებას.

მუხლი 15. შესატანის უკან დაბრუნება

1. შესატანის უკან დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება ამხანაგობის წევრთა 3/4-ის უმრავლესობით. ინვესტორებს აქვთ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება.
2. შესატანის უკან დაბრუნება შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ვერ იქნა მიღწეული ამხანაგობის მიზანი. მხანაგობის მიზნის მიუღწევლობაში იგულისხმება მშენებლობის ნებართვის გაუცემლობა, აგრეთვე მშენებლობის დაწყების ვადის გადაცილება 3 თვეზე მეტი ვადით. ასეთ შემთხვევაში ამხანაგობის წევრთა გადაწყვეტილება არ მიიღება.

3. შესატანის უკან დაბრუნებისას მესაკუთრეებს გადაეცემათ ამხანაგობისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საცხოვრებელი სახლის პროექტი. ხოლო ამხანაგობის დანარჩენ წევრებს (მათ შორის ინვესტორებს) უკან უბრუნდებათ ამხანაგობის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ფულადი სახსრები, მათი წილების პროპორციულად, ჯარიმის თანხის გამოკლებით.

თავი IV. ამხანაგობის წევრების წილი

მუხლი 16. წილის განსაზღვრა

1) ამხანაგობაში თითოეული წევრის წილი განისაზღვრება მისი შესატანის ღირებულების მიხედვით.
2) ამხანაგობის თითეული წევრის წილი შეესაბამება მისაღები ფართის ოდენობას, გამოხატულს კვადრატრულ მეტრებში წარმოადგენს შემდეგს:
   - თამარ შანიძე – 450 (ოთხას ორმოცდაათი) კვ.მ. – 2 ავტოფარეხი;
   - ედვარდ მირზოიანი – 150 (ას ორმოცდაათი0 კვ.მ.;
   - მზია ჯაბაური – 60 (სამოცი) კვ.მ.;
   - თენგიზ შალაშვილი – 100 (ასი) კვ.მ.;
   - გურამ ონიანი – 1500 (ათას ხუთასი) კვ.მ. – 6 ავტოფარეხი;
   - აკაკი მოსაშვილი – დანარჩენი ფართი.
3) სამშენებლო პროექტის დამტკიცებისა და ასაშენებლი ფართის დაზუსტების შემდეგ გამგეობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია წილების ხელახალი გადაანგარიშება, რაც აისახება ფართების განაწილების (განშლის) ოქმში. ფართების განაწილების (განშლის) ოქმი უნდა დამტკიცდეს სანოტარო წესით.
4) შესატანების სრულად განხორციელებამდე თითოეულ წევრს გააჩნია უფლება წილზე, რომელიც შეუძლია გაასხვისოს დამოუკიდებლად. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით უარს აცხადებენ აღნიშნული უფლების შესყიდვის უპირატეს უფლებაზე.

მუხლი 17. წილის განკარგვა.

1. თითოეულ წევრს უფლება აქვს ამხანაგობის თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის სანოტარო წესით დამოწმებული ერთობლივი თანხმობით განკარგოს (გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს) თავისი წილი (წილის ნაწილი). ამხანაგობის თავმჯდომარის თანხმობა არ არის საჭირო მესაკუთრის ან ინვესტორების მიერ საკუთარი წილის განკარგვისას.
2. წილის გასხვისება საჭიროებს ასევე სანოტარო წესით დამოწმებას.
3. ამხანაგობის წევრის მიერ წილის (წილის ნაწილის) გასხვისება ხდება მათ მიერ ამხანაგობის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან ერთად.
4. ამხანაგობის წევრები წინამდებარე ხელშეკრულებით უარს აცხადებენ ერთმანეთის წილების შესყიდვის უპირატეს უფლებაზე.
5. დასაშვებია ამხანაგობის წილის მემკვიდრეობით გადაცემა.
6. წილის გასხვისებისას ხდება შემძენზე უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა და იგი არ გულისხმობს მატერიალური ქონების (მიწის ნაკვეთის, აშენებული ფართის, ნაგებობის) გადაცემას, წილის ნაწილობრივი გასხვისებისას შემძენზე შესაბამისი პროპორციით გადადის გამსხვისებლის ვალდებულებების ნაწილი.
7. წილის (წილის ნაწილის) გასხვისება საჭიროებს ცვლილებების შეტანას ფართების განაწილების (განშლის) ოქმში და "ამხანაგობის წევრთა ჟურნალში".

თავი V. ამხანაგობის მართვა

მუხლი 18.

ამხანაგობის მართვის ორგანოებია:

1. ამხანაგობის წევრთა კრება;
2. ამხანაგობის გამგეობა.

მუხლი 19. წევრთა კრების მოწვევა და ჩატარება

1. ამხანაგობის წევრთა კრება (შემდგომში "წევრთა კრება") ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც.
2. წევრთა კრებას მოიწვევს ამხანაგობის თავმჯდომარე ამხანაგობის წევრებისათვის ორი კვირით ადრე გაგზავნილი მოსაწვევით.
3. მოსაწვევში მიეთითება წევრთა კრების ჩატარების ადგილი და დღის წესრიგი. წევრმა თავისი წინადადებები დღის წესრიგთან დაკავშირებით ამხანაგობის თავმჯდომარეს უნდა აცნობოს კრებამდე 5 (ხუთი) დღით ადრე მაინც.
4. რიგგარეშე კრება მოიწვევა თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მესაკუთრის, ინვესტორების ან სულ მცირე ამხანაგობის წევრთა შემადგენლობის 1/3-ის მოთხოვნით.
5. წევრთა კრებას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე.

მუხლი 20. წევრთა კრების კომპეტენცია

1. წევრთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს ქვემოთ მითითებულ შემდეგ საკითხებზე:

1.1. ამხანაგობის გაუქმება;

1.2. გამგეობის არჩევა და გადარჩევა;

1.3. ამხანაგობის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა;

1.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანა;

1.5. წლიური შედეგების დამტკიცება;

1.6. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა.

მუხლი 21. კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა

1. წევრთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 3/4 მაინც.
2. იმ შემთხვევაში, თუ წევრთა კრება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, ერთი კვირის შემდეგ, იმავე დღის წესრიგით, ჩატარდება ხელმეორე კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ ნახევარი მაინც.
3. წევრს უფლება აქვს წევრთა კრებაზე შესაბამისი სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით წარმოდგენილი იყოს სხვა პირით.

მუხლი 22. გადაწყვეტილების მიღება.

1. წევრთა კრება გადაწყვეტილებას იღებს კრებაზე დამსწრე ამხანაგობის წევრთა უბრალოდ უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ ხელშეკრულებით დადგენილია გადაწყვეტილების მიღების სხვა წესი.
2. გადაწყვეტილების მიღებისას ამხანაგობის თითოეულ წევრს აქვს თითო ხმა.

მუხლი 23. კრების ოქმი

1. წევრთა კრებაზე დგება კრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ამხანაგობის თავმჯდომარე.

2. წევრთა კრების პირველ ოქმს ხელს აწერენ ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები.
3. კრების ოქმი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით, თუ ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან ამას დაადგენს წევრთა კრება.
4. ოქმში აღინიშნება კრების ჩატარების დრო და ადგილი, დამსწრე წევრები და დღის წესრიგის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებები. მხანაგობის წევრის მოთხოვნით მისი გამოსვლა დეტალურად აისახება კრების ოქმში.

მუხლი 24. გამგეობა

1. ამხანაგობის გამგეობა (შემდგომში "გამგეობა") აირჩევა დამფუძნებელ წევრთა კრების მიერ, 2/3-ის უმრავლესობით.
2. გამგეობა შედგება 6 წევრისაგან. გამგეობაში აირჩევიან მესაკუთრეები და ინვესტორები.
3. გამგეობა თავისი წევრებიდან ირჩევს ამხანაგობის თავმჯდომარესა და მოადგილეს.
4. გამგეობის მიმდინარე საქმიანობას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას ან მის მიერ თავისი უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში – მისი მოადგილე.

მუხლი 25. გამგეობის წევრის შესახებ

1. გამგეობის წევრები არ იღებენ გასამრჯელოს თავისი საქმიანობისათვის.
2. გამგეობის წევრმა თავისი მოვალეობა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რაც მიადგება ამხანაგობას ან მესამე პირებს.
3. გამგეობის წევრის საქმიანობა წყდება შემდეგ შემთხვევებში:
3.1. გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადების საფუძველზე;
3.2. გარდაცვალების შემთხვევაში;
3.3. თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლისას;
3.4. მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში;
3.5. მისი ვადამდე გაწვევის შემთხვევაში.
4. გამგეობის გარდაცვლილი წევრის ადგილს იკავებს მისი ერთ-ერთი მემკვიდრე.

მუხლი 26. გამგეობის მოწვევა და ჩატარება

1. გამგეობის სხდომა, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვევა ამხანაგობის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ.
2. რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას გამგეობის სხვა წევრის მიერ.
3. მოწვევა შეიძლება მოხდეს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი (წერილი, ფარსი, ელ.ფოსტა და სხვა) შეტყობინებით.
4. გამგეობის სხდომა ტარდება ამხანაგობის ფაქტიურ მისამართზე ან მომწვევის მიერ შერჩეულ სხვა ადგილზე.
5. გამგეობის სხდომას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

მუხლი 27. გამგეობის კომპეტენცია

1. გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:
1.1. ამხანაგობის თავმჯდომარის და მოადგილის არჩევა და გამოწვევა;
1.2. უძრავი ქონების შეძენა, გახსვისება და დატვირთვა;
1.3. თანხმობის მიცემა ამხანაგობის თავმჯდომარისათვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ გარიგებებსა და იურიდიულ მოქმედებებზე;
1.4. სამშენებლო კომპანიის შერჩევა;
1.5. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების ორგანიზაბა;
1.6. ამხანაგობის საშტატო განრიგის დამტკიცება;

1.7. ამ ხელშეკრულებითა და კანონით მასზე დაკისრებულ სხვა საკითხებზე.

მუხლი 28. გამგეობის გადაწყვეტილებები

1. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს გამგეობის სხდომაზე.
2. გამგეობის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება არანაკლებ 4 წევრი მაინც.
3. გამგეობის გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უმრავლესობით.
4. კენჭისყრისას თითოეულ წევრს აქვს თითო ხმა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხი უარყოფილად ჩაითვლება.
5. თუ გამგეობის წევრი ვერ ესწრება სხდომას, მას შეუძლია დღის წესრიგის თითეულ პუნქტთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამგეობის სხდომამდე 2 დღით ადრე წერილობით წარუდგინოს ამხანაგობის თავმჯდომარეს.
6. გამგეობამ გადაწყვეტილებები შეიძლება მიღოს სხდომის ჩატარების გარეშეც. ასეთი გადაწყვეტილება ნამდვილად ჩაითვლება, თუკი გადაწყვეტილებას ხელს აწერს გამგეობის ყველა წევრი.

მუხლი 29. გამგეობის სხდომის ოქმი

1. გამგეობის სხდომის დროს დგება ოქმი.
2. ოქმში აღინიშნება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მონაწილეები და დღის წესრიგის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებები.
3. გამგეობის სხდომის ოქმს ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე.
4. ოქმის შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით გამგეობის გადაწყვეტილების ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

თავი VI. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

მუხლი 30. ამხანაგობის თავმჯდომარე

1. ამხანაგობის ხელმძვანელობას და მართვას ახორციელებს ამხანაგობის თავმჯდომარე.
2. ამხანაგობის თავმჯდომარე აირჩევა და განთავისუფლდება გამგეობის მიერ. ამხანაგობის თავმჯდომარედ არ შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელიც არ არის ამხანაგობის წევრი.
3. ამხანაგობის თავმჯდომარე წყვეტს ამხანაგობის მართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც შედის წევრთა კრებისა და გამგეობის კომპეტენციაში.
4. ამხანაგობის თავმჯდომარე მოქმედებს ამხანაგობის სახელით და ვალდებულია წერილობითი გარიგებების დადებისას ან მიმოწერისას მიუთითოს ამის შესახებ.
5. ამხანაგობის თავმჯდომარე ერთპიროვნულად, მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში. მას შეუძლია თავისი კომპეტენციის ნაწილი გამგეობასთან შეთანხმებით გადაანდოს სხვა პირს.
6. ამხანაგობის თავმჯდომარის არყოფნისას ან მის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ამხანაგობის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.
7. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება კანონითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
8. ამხანაგობის თავმჯდომარეს შეუძლია ვადამდე ადრე გადადგეს თანამდებობიდან, რისთვისაც მან გამგეობას წერილობით უნდა აცნობოს გადადგომამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც.

მუხლი 31. ამხანაგობის თავმჯდომარის კომპეტენციები

1. ამხანაგობის თავმჯდომარის კომპეტენციას განეკუთვნება:
1.1. სარეთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებების აღსრულება;
1.2. საცხოვრებელი სახლის მშენებლობის, ექსპლუატაციაში მიღებისა და აშენებული ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ორგანიზება;
1.3. ამხანაგობის მუშაკების შერჩევა დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით და მათთან შრომითი ხელშეკრულებების დადება;
1.4. გარიგებებისა და ხელშეკრულებების ხელმოწერა;
1.5. სხვა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 32. თანხმობასავალდებულო გარიგებები
1. ამხანაგობის თავმჯდომარე მხოლოდ გამგეობის თანხმობით დებს შემდეგ გარიგებებს და ახორციელებს იურიდიულ მოქმედებებს:
1.1. სესხის ან კრედიტის აღება;
1.2. სესხის გაცემა, ნებისმიერი სახის სესხის (ან კრედიტისათვის) გარანტიის ან თავდებობის კისრება;
1.3. გარიგებების დადება, გარდა სამშენებლო მასალების შეძენასთან დაკავშირებული გარიგებებისა.

მუხლი 33. კონტროლი
1. ამხანაგობის წევრს, რომელიც ფლობს წილის არანაკლებ 10 %-ს, უფლება აქვს მოსთხოვოს ამხანაგობის თავმჯდომარეს საქმიანობის შესახებ ანგარიში.
2. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია განცხოს ამხანაგობის წევრს ინფორმაცია საფინანსო საქმიანობის შესახებ და მიაწოდოს მას მოთხოვნისთანავე ნებისმიერი დოკუმენტი.
3. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოს ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო და საბუღალტრო დოკუმენტაცია და ჯეროვნად და დადგენილ ვადაში შეასრულოს წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები.
4. ინვესტორს, რომელმაც განახორციელა ფულადი ინვესტიცია, უფლება აქვს ამხანაგობის თავმჯდომარეს მოსთხოვოს ინფორმაცია გახარჯული თანხების მიზნობრიობის შესახებ და სისტემატურად განახორციელოს კონტროლი ამ კუთხით.

თავი VII. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა

მუხლი 35. საცხოვრებელი სახლის პროექტი და მშენებლობის ნებართვა
1. ინვესტორები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ მშენებლობის ნებართვის აღება საცხოვრებელი სახლის პროექტის დამტკიცებიდან სამ თვის ვადაში, სხვა ვადასთან შესაბამისობაში.

მუხლი 36. საძირკვლის ამოთხრა
1. ინვესტორი კისრულობს ვალდებულებას შესაბამისი პროექტით, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და ვადებში უზრუნველყოს საძირკვლის ამოთხრა.
2. საძირკვლის ამოთხრა უნდა დაიწყოს მშენებლობის ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთ) თვეში.

მუხლი 37. საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყება

1. მხარეები თანხმდებიან, რომ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყებად მიიჩნება საძირკვლის ამოთხრა.

მუხლი 38. საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება.

1. ინვესტორები კისრულობენ ვალდებულებას საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (სახლში არსებული ფართების სარემონტო მდგომარეობის გათვალისწინებით) დაასრულონ ინვესტორების მიერ თანხის პირველი ნაწილის შეტანიდან 2 (ორ) წელიწადში.
2. მხარეები თანხმდებიან, რომ მშენებლობის დასრულებად მიიჩნევა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დამტკიცებული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის მიხედვით, რაც გულისხმობს სახლის კარკასის აშენებას, საცხოვრებელი სახლის გადახურვას, გარე და შიდა ტიხრების მოწყობას (მესაკუთრესთან შეთანხმებით), ინდივიდუალურ ფართებში რკინის კარებების ჩასმას, გარე პერიმეტრის ორმაგი მინიპარკეტის მეტალო-ლასტმასის კარ-ფანჯრების ჩასმასა და შემინვას, გარე ფასადის გალესვასა და შეღებვას, ლიფტების ჩამონტაჟებასა და გაშვებას, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას, ძირითადი ცენტრალური კომუნიკაციების (წყალი, გაზი, კანალიზაცია) დამონტაჟებასა და ინდივიდუალურ ფართებამდე მიყვანას, სადარბაზოს მოწყობასა და მოპირკეთებას და შესაბამისი დოკუმენტების სახლის ექსპლუატაციაში მისაღებად წარდგენას.
3. ინვესტორები კისრულობენ ვალდებულებას, საცხოვრებელი სახლი აშენდეს შეთანხმებული პროექტის მიხედვით. ამასთან, ისინი ვალდებული არიან მესაკუთრეებს საცხოვრებელი ბინები ჩააბარონ შავი კარკასით.
4. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საცხოვრებელი სახლის პროექტში უნდა შეთანხმდეს გამგეობასთან.

თავი VIII. პასუხისმგებლობა და გარანტიები

მუხლი 39. ინვესტორების პასუხისმგებლობა და გარანტიები

1. მესაკუთრეები უფლებამოსილი არიან მოსთხოვონ ინვესტორებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
2. ინვესტორები იძლევიან გარანტიას, რომ სრულად უზრუნველყოფენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასა და მომსახურების გაწევას.
3. ინვესტორების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მესაკუთრეებს უფლება აქვთ ცალ-ცალკე ან ერთობლივად მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება.
4. საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყებისა და მშენებლობის ვადის დარღვევისათვის ინვესტორს დაეკისრება პასუხისმგებლობა მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 0,05 %-ს ოდენობით.
5. ინვესტორები პასუხს აგებენ სამშენებლო დოკუმენტაციის (პროექტისა და მშენებლობის ნებართვის) წარდგენის დაგვიანების ან არასრულად წარდგენისათვის. ისინი ვალდებული არიან თავიანთი ხარჯით გამოასწორონ სამშენებლო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზები. კერძოდ, თუ სამშენებლო დოკუმენტაცია

წარდგენილ იქნა დაგვიანებით, მათ დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის სამშენებლო დოკუმენტაციის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6. ინვესტორების მიერ პროექტით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლის დაუსრულებლობის შემთხვევაში ინვესტორების პასუხისმგებლობა განისაზღვრება შემდეგი სახით: გამოითვლება დაუსრულებელი მშენებლობის ღირებულება და დაეკისრებათ ვალდებულება ამხანაგობის დარჩენილი წევრების სასარგებლოდ დათმონ ფართების განაწილების (განშლის) გეგმაში მათ სახელზე ასახული შესაბამისი ღირებულების ბინები (წილები).
7. ინვესტორები პირადად აგებენ პასუხს აგრეთვე მშენებლობის პროცესში მესამე პირების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის და მათთვის ზიანის მიყენებისათვის.
8. ინვესტორები ასევე არ აგებენ პასუხს მშენებლობის შეჩერებისათვის, თუ ეს შეჩერება გამოწვეულია მესაკუთრეების არამართლზომიერი მოქმედებით ან უმოქმედობით.

მუხლი 40. მესაკუთრის პასუხისმგებლობა და გარანტიები

1. მესაკუთრეები გარანტიას იძლევიან, რომ ამ ხელშეკრულებით ამხანაგობისთვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვით გადაცემული ქონება წარმოადგენს მათ საკუთრებას (საერთო საკუთრებას), მათ მართლზომიერ მფლობელობაშია და მესამე პირები არ აცხადებენ მასზე პრეტენზიას.
2. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი ამხანაგობისათვის გადაცემულ ქონებაზე განაცხადებს პრეტენზიას, რითაც ზარალი მიადგება ინვესტორს, მესაკუთრეები ვალდებულნი არიან სრულად აანაზღაურონ აღნიშნული ზარალი.
3. მესაკუთრეები ვალდებულნი არიან, ამ ხელშეკრულების შემდეგ, შესატანის სახით ამხანაგობაში შეტანამდე არ განკარგონ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ან არ დატვირთონ ისინი იპოთეკით სხვა მესამე პირთა სასარგებლოდ ან არ გამოიყენონ ისინი თავისი ან მესამე პირების ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებად, ასევე არ აწარმოონ ანალოგიური მიზნის მქონე სხვა ინვესტორთან ან სამშენებლო ინიციატივის მქონე სუბიექტებთან, არანაირი მოლაპარაკება არ დადონ არანაირი სახის ხელშეკრულება.
4. ამ ვალდებულების დარღვევისათვის მესაკუთრეებს დაეკისრებათ ჯარიმა, თითოეულს 50.000 აშშ დოლარის ოდენობით. მესაკუთრეებს არ დაეკისრებათ ჯარიმა, თუკი ინვესტორი დაარღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისა.

მუხლი 41. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, დაუძლეველი ძალის („ფორს-მაჟორის“) მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შესრულება.
2. დაუძლეველ ძალაში იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა და მოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ: სტიქიური უბედურებები (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, აფეთქებები და ა.შ.), ომი ან სამოქალაქო ომი და საომარი მოქმედებები, რევოლუცია, სამოქალაქო ან სოლიალური არეულობა, გაფიცვები, საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები, რაც ხელს უშლის ხელშეკრულების მხარეებს ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებაში ან აუარესებენ მათ სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.

3. თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.
4. მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, მოვალეა დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ათი დღისა ამ დაგვიანების დადგომიდან და დასასრულიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს, გარდა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა.
5. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება სამოც კალენდარულ დღეზე მეტხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, ხელშეკრულება მოიშლება.

თავი IX ამხანაგობის ქონება.

მუხლი 42. ქონებაზე საკუთრების უფლება

1. ამხანაგობაში შეტანილი შესატანები, ამხანაგობის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლი (საჯარო რეესტრში მის რეგისტრაციამდე), ასევე ამხანაგობის ფულადი სახსრებით შეძენილი სხვა ქონება წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას.
2. გამგეობის გადაწყვეტილებით ამხანაგობის სახსრებით შეძენილი კონკრეტული მოძრავი ქონება შეიძლება აისახოს ამხანაგობის განცალკევებულ საკუთრებად.

მუხლი 43. ამხანაგობის ქონების გამოყენება

1. ამხანაგობის ქონება გამოიყენება ამხანაგობის მიზნების მისაღწევად და მიზნის მიღწევამდე მისი განაწილება წევრებს შორის დაუშვებელია.
2. ამხანაგობის თანხებით ხდება ამხანაგობის საქმიანობის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფო გადასახადების გადახდა და სხვა სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებების შესრულება.

თავი X. შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ

მუხლი 44. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

1. ამხანაგობის შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ამხანაგობის შემოსავლებისა და ხარჯების აღირიცხვაზე პასუხისმგებელია ამხანაგობის თავმჯდომარე.

მუხლი 45. შემოსავლებისა და ხარჯების განაწილება

1. ინვესტორი დამოუკიდებლად მონაწილეობს ამხანაგობის შემოსავლებსა და ხარჯებში, ასევე მოგების განაწილებაში.
2. მესაკუთრეს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობის შემოსავლებსა და ხარჯებში, ასევე ამხანაგობის მოგების განაწილებაში.
3. მხარეები თანხმდებიან, რომ მესაკუთრეს არ დაეკისრება შემდეგი ხარჯები:

- ამხანაგობის სახელმწიფო გადასახადები,
- მშენებლობის პროცესში წარმოშობილი ამხანაგობის კომუნალური (წყალი, ელ. ენერგია, გაზი, დასუფთავება) გადასახდელები,

- საცხოვრებელი სახლის მშენებლობის, ექსპლოატაციაში მიღებისა და აშენებული ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯები,
- ამხანაგობის მუშაკთა ხელფასები და მესამე პირთა მომსახურების გასამრჯელო,
- ამხანაგობის პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ჯარიმები და საურავები,
- ამხანაგობის სავალდებულო ხარჯები, მათ შორის ბინის ქირა.

თავი XI. ფართების განაწილება

მუხლი 46. ფართების განაწილების (განშლის) გეგმა

1. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მშენებლობის ნებართვის მიღებიდან ექვსი თვის ვადაში შეადგინოს საცხოვრებელ სალში ფართების (ბინების, ავტოსადგომების) განაწილების (განშლის) გეგმა და წარუდგინოს გამგეობას დასამტკიცებლად.
2. ფართების განაწილების განრიგი უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. სანოტარო წესით დამტკიცების შემდეგ ფართების განაწილების (განშლის) გეგმა ხდება წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.
3. ფართების განაწილების განრიგში უნდა მიეთითოს ამხანაგობის თითოეული წევრის მიერ მისაღები სასარგებლო ფართის ოდენობა, მისაღები ფართის სახეობა, ფართის განთავსების ადგილი (სართული) და ბინის ნომერი.

მუხლი 47. ფართების განაწილების ვადა

1. აშენებული ფართების გადაცემა უნდა მოხდეს საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებასთან ერთად.
2. ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული და განშლილი ფართების განკარგვა ხდება თავისუფლად, დამოუკიდებლად, ამხანაგობის წევრების თანხმობის გარეშე.

თავი XII. ამხანაგობის გაუქმება ლიკვიდაცია

მუხლი 48. ამხანაგობის გაუქმების საფუძვლები

ამხანაგობის გაუქმების (ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის) საფუძვლებია:

ა) აშენებული ფართების ამხანაგობის ყველა წევრზე რეგისტრაცია;
ბ) წევრთა გადაწყვეტილება;
გ) ამხანაგობის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა;
დ) ერთ-ერთი წევრის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა;
ე) ერთობლივი საქმიანობის მიზნების განხორციელების შეუძლებლობა;
ვ) ხელშეკრულების მოშლა;

მუხლი 49. ამხანაგობის ლიკვიდაცია

1. ამხანაგობის გაუქმებისას ლიკვიდაციას ახორციელებს ამხანაგობის თავმჯდომარე, თუ წევრთა კრება არ დანიშნავს სხვა ლიკვიდატორს.
2. ლიკვიდაციის დროს ამხანაგობა ავრძელებს არსებობას იმ მიზნით, რათა სათანადოდ დაასრულოს საქმეები, მოახდინოს ქონების რეალიზაცია და დააკმაყოფილოს ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირთა მოთხოვნები.
3. ლიკვიდატორი ამხანაგობის ლიკვიდაციის შესახებ აკეთებს განცხადებას პრესაში და მოიწვევს ყველა კრედიტორს მოთხოვნების წარმოსადგენად და დაუწესებს მათ ვადას. ამხანაგობისათვის ცნობილ კრედიტორებს იგი პირადად ატყობინებს წერილობით.
4. ლიკვიდაციის დროს ლიკვიდატორმა უნდა დაამთავროს ამხანაგობის სახელით დადებული ყველა გარიგება.

5. ლიკვიდატორი ახდენს ამხანაგობის ქონების ინვენტარიზაციას და ამხანაგობის აქტივებისა და პასივების შეფასებას. ამხანაგობისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ქონება უბრუნდება უფლებამოსილ პირებს.
6. ქონების რეალიზაციას ლიკვიდატორი ახდენს თავისი შეხედულებისამებრ.
7. რეალიზაციიდან მიღებული მონაგები წარიმართება ამხანაგობის კრედიტორების დასაკმაყოფილებლად, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდება წევრთა შორის, მათი წილების შესაბამისად.
8. ლიკვიდატორი პირადად აგებს პასუხს ლიკვიდაციის დროს ამხანაგობისათვის მიყენებული ზიანისათვის. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოში ლიკვიდატორის მოქმედებები.

თავი XIII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 50. ძალაში შესვლა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის დამფუძნებელ წევრთა მიერ მისი ხელმოწერისა და ნოტარიალური დამოწმებისთანავე.

მუხლი 51. ხელშეკრულების მოშლა

1. ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებია:

ა) მშენებლობის ვადის გადაცილების შემთხვევაში, თუ ვადის გადაცილებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში ინვესტორის მხრიდან არ იქნება წამოყენებული დასაბუთებული ობიექტური მიზეზები და მშენებლობის გაგრძელების გარანტია, მესაკუთრეებს უფლება აქვთ მოშალონ ხელშეკრულება.

ბ) ინვესტორს უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება 41.3 მუხლით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას.

მუხლი 52. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მშენებლობის ნებართვის მიუღებლობა;

ბ) საცხოვრებელი სახლის საძირკვლის ამოღების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა;

გ) ხელშეკრულების მოშლა.

მუხლი 53. დავები

1. ხელშეკრუელბის მონაწილეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულთან ერთად წინამდებარე ხელშეკრუელბის მონაწილე ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს სასამართლოში წარმოების დაწყებამდე, მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს დავის გადასაჭრელად. მხარეები აღიარებენ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის იურისდიქციას.
3. დავა განიხილება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ კანონმდებლობითა და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის წესდების შესაბამისად. არბიტრაჟის ადგილია ქ. თბილისი. არბიტრაჟის მიერ დავის განხილვა მოხდება ქართულ ენაზე, ერთი არბიტრის მიერ. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 54. ამხანაგობის დაფუძნებასთან დაკავშირებული ხარჯები

ამხანაგობის დაფუძნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, კერძოდ წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების, მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის, აუდიტორული და იურიდიული მომსახურების ხარჯებს გაიღებენ ინვესტორები.

მუხლი 55.

1. ხელშეკრულება გაფორმებულია 7 ეგზემპლარად. ამასთან, 6 ეგზემპლარი გადეცემა მხარეებს, ხოლო ერთი წარედგინება საჯარო რეესტრს.
2. ნებისმიერი დამატება და ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, თუ იგი მიღებულია ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და დამოწმებულია ნოტარიულად.
3. ამხანაგობის დამფუძნებელთა განცხადებით, მათ მიერ განხორციელებული შენატანების მთლიანი ღირებულება შეადგენს 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში.

ხელმოწერები:

თამარ შანიძე:

მზია ჯაბაური:

ედუარდ მირზოიანი:

თენგიზ შაღაშვილი:

აკაკი მოსაშვილი:

გურამ ონიანი:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N130858631**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.08.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	**ნარგიზა ჯანხოთელი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი რუსთაველის** გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	83499851557413

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ **ინფორმაციის** (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, ორი ათას ცამეტი წლის ოცდაორი აგვისტო. მე, საქართველოს ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელის შემცვლელი პირი – გიორგი ჭიტაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის **გამზირი** № 18, ვამოწმებ ხელშეკრულებაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო **ამხანაგობა** "ქარელის ქ.25"-ს დაფუძნების შესახებ (ახალ რედაქციაზე), რომელიც წარმოდგენილია რვა ცალად, **თამარ შანიძის** (დაბადებული 05.07.1969 წელს, მცხოვრები თბილისში, ქარელის **ქუჩა** № 25, პირადი ნომერი: 01026004310), **მზია ჯაბაურის** (დაბადებული 06.02.1964 წელს, მცხოვრები ახალგორში, სოფელი ქურთა პირადი **ნომერი:** 06001000806), **ედუარდ მირზოიანის** (დაბადებული 14.02.1972 წელს, მცხოვრები **თბილისში,** ვარკეთილი-3, 3-ა მიკრორაიონი, **კორპუსი** 338, ბინა № 131, პირადი ნომერი: **01013013978), თენგიზ შაღაშვილის** (დაბადებული 27.10.1954 წელს, მცხოვრები თბილისში, **ქარელის ქუჩა № 25**, პირადი ნომერი: 01024055411), **აკაკი მოსაშვილის** (დაბადებული 08.06.1950 **წელს, მცხოვრები** თბილისში, გლდანი, მე-2 მიკრორაიონი, **კორპუსი** № 40, ბინა № 21, **პირადი ნომერი:** 01001003808), **გურამ ონიანის** (დაბადებული 04.06.1957 წელს, მცხოვრები **თბილისში,** აგრარული უნივერსიტეტის დასახლება № 2-ა, ბინა № 5, პირადი ნომერი: 01025014420). ხელმოწერების ნამდვილობას. **ხელმოწერები შესრულებულია** პირადად მათ მიერ ჩემი **თანდასწრებით.** მათი ვინაობა დადგენილია, **ქმედუნარიანობა შემოწმებულია.** მე, საქართველოს **ნოტარიუს** ნარგიზა ჯანხოთელის შემცვლელი პირი – გიორგი ჭიტაშვილი, ვამოწმებ არა დოკუმენტის **სამართლებრივ** შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეებს.
გადახდილია სანოტარო საზღაური, "სანოტარო **მოქმედებათა** შესრულებისათვის საზღაურისა და **საქართველოს** ნოტარიუსთა პალატისათვის **დადგენილი საფასურის** ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების **შესახებ**" საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის **№ 507** დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 96.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს **საგადასახადო** კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 17.28 ლარი, **ასევე** ელექტრონულ სანოტარო **რეესტრში** სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2.00 ლარი, სულ 115.28 ლარი.

ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელის შემცვლელი

პირი გიორგი ჭიტაშვილი:

19

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს გამგეობის წევრთა სხდომის ოქმი

ქ.თბილისი

26.06.2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს გამგეობის წევრები: თამარ შანიძე (პირადი ნომერი: 01026004310), ედუარდ მირზოიანი (პირადი ნომერი: 01013013978), გიორგი შაგაშვილი (პირადი ნომერი: 01024067690), როგორც წარმომადგენელი თენგიზ შაღაშვილის, თანახმად მინდობილობისა, დამოწმებული 12.11.2013 წელს ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელის მიერ, რეესტრის № 131191126, აკაკი მოსაშვილი (პირადი ნომერი: 01001003808), გურამ ონიანი (პირადი ნომერი: 01025014420). ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულების 28-ე მუხლის შესაბამისად, სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია. სხდომა დაფუძნების ხელშეკრულების 26-ე მუხლის შესაბამისად მოწვეულია ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილის, გურამ ონიანის ინიციატივით. სხდომას არ ესწრებოდა მზია ჯაბაური. სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თამარ შანიძე, მდივნად – გურამ ონიანი.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობის თავმჯდომარის გადაყენება და ახალი თავმჯდომარის არჩევა;
2. ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს თამარ შანიძის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ ამხანაგობის ამჟამინდელი თავმჯდომარე, აკაკი მოსაშვილი ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. 2010 წლიდან მოყოლებული დღემდე ვერ დაასრულა მშენებლობის პროცესი. ამჟამად მშენებლობის პროცესი თითქმის შეჩერებულია. იმისათვის, რომ მშენებლობა განახლდეს, თავმჯდომარე არაფერს აკეთებს. ინვესტორმა - გურამ ონიანმა დაფუძნების ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მასზე ნაკისრი ვალდებულება შეასრულა სრულად განახორციელა 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიცია და ამ ეტაპამდე მოიყვანა მშენებლობა, რასაც ვხედავთ დღეს – აშენებულია ოთხი სართული. ჩვენ, ამხანაგობის

ამფუძნებელ წევრებს, ყველას შესრულებული გვაქვს ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულება ამხანაგობის წინაშე; განვახორციელეთ შენატანები, გადავეცით უძრავი ქონება ამხანაგობას, რაც გვევალებოდა. რაც შეეხება აკაკი მოსაშვილს, დაფუძნების ხელშეკრულების მე-13 მუხლის თანახმად იგი ვალდებულია ამხანაგობაში შეიტანოს იმ ოდენობის ფულადი სახსრები, რაც უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებას დამტკიცებული პროექტის მიხედვით. მაგრამ ამისთვის იგი არაფერს აკეთებს, არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, რის გამოც გაჩერებულია მშენებლობა. გამომდინარე აქედან, შემოვდივარ წინადადებით, ამხანაგობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებულ იქნას აკაკი მოსაშვილი და მის ნაცვლად თავმჯდომარედ ავირჩიოთ გურამ ონიანი. აქვე მინდა გავაკეთო პატარა განმარტება: რომ არა გურამ ონიანი, ჩვენი კორპუსის ის ნაწილიც არ იქნებოდა აშენებული, რასაც დღეს ვხედავთ. მიმაჩნია, რომ იგი ამ საქმეს თავს გაართმევს და ბოლომდე მიიყვანს.
თამარ შანიძის წინადადებას გამგეობის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- აკაკი მოსაშვილი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან; ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას გურამ ონიანი (პირადი ნომერი: 01025014420).
- ეთხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული მიიღოს ცნობად.
- მიუხედავად თანამდებობიდან გათავისუფლებისა, აკაკი მოსაშვილი ვალდებულია შეასრულოს ამხანაგობის წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულება.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს გურამ ონიანის ინფორმაცია. მან განაცხადა, რომ: ვინაიდან მოხდა ჩემი ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩევა, შესაბამისად, უნდა ავირჩიოთ ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილე. წინადადება შემომაქვს ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას თამარ შანიძე. აქვე მინდა მადლობა მოვახსენოთ იმ ნდობისათვის, რომელიც გამომიცხადეთ. დღემდეც ასე იყო და ამის შემდეგაც ასე იქნება: არ დავზოგავ ძალებს, რომ ამ კორპუსის მშენებლობა დასრულდეს. ამაში თქვენი თანადგომაც დამჭირდება. უნდა ვიმოქმედოთ ერთობლივად, კოორდინირებულად, ურთიერთშეთანხმებით და საერთო

ებით დავასრულოთ კორპუსის მშენებლობა. პირადად ჩემზე რაც იქნება ამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ.
დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით კრებამ მიიღო გადაწყვეტილება:
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩეულ იქნას თამარ შანიძე (პირადი № 01026004310).

გადაწყვეტილებები მიღებულია ერთხმად.

თამარ შანიძე: თამარ შანიძე

ედუარდ მირზოიანი: ედუარდ მირზოიანი

თენგიზ შალაშვილი – წარმომადგენელი გიორგი შაგაშვილი: გიორგი შაგაშვილი

აკაკი მოსაშვილი: აკაკი მოსაშვილი

გურამ ონიანი: გურამ ონიანი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140661893
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.06.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	97857727222214

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდაექვსი ივნისი.
მე, საქართველოს ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის №18, ვამოწმებ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს გამგეობის წევრთა სხდომის ოქმზე, რომელიც წარმოდგენილია ოთხ ცალად, **გურამ ონიანის,** დაბადებული 04.06.1957 წელს, მცხოვრები თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის დასახლება № 2ა, ბინა 5, პირადი № 0102501420, **აკაკი მოსაშვილის,** დაბადებული 08.06.1950 წელს, მცხოვრები თბილისში, გლდანის მასივი, II მ/რ, კორპუსი 40, ბინა 21, პირადი № 01001003808, **თამარ შანიძის,** დაბადებული 05.07.1969 წელს, მცხოვრები თბილისში, ქარელის ქუჩა № 25, პირადი № 01026004310, **ედუარდ მირზოიანის,** დაბადებული 14.02.1972 წელს, მცხოვრები თბილისში, ვარკეთილი-3, IIIა მიკრორაიონი, კორპუსი 338, ბინა 131, პირადი № 01013013978 და **გიორგი შაგაშვილის,** დაბადებული 13.04.1990 წელს, მცხოვრები თბილისში, ქარელის 25, პირადი № 01024067690, ხელმოწერების ნამდვილობას. ხელმოწერები შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით ოქმის ყველა გვერდზე. მათი ვინაობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერები შესრულებულია ზემოთაღნიშნული მოქალაქეების მიერ.
გადახდილია სანოტარო საზღაური, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 120.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 21.60 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2.00 ლარი, სულ 143.60 ლარი.

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი

1 1

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს გამგეობის წევრთა სხდომის ოქმი

ქ.თბილისი 26.06.2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს გამგეობის წევრები: თამარ შანიძე (პირადი ნომერი: 01026004310), ედუარდ მირზოიანი (პირადი ნომერი: 01013013978), გიორგი შაგაშვილი (პირადი ნომერი: 01024067690), როგორც წარმომადგენელი თენგიზ შალაშვილის, თანახმად მინდობილობისა, დამოწმებული 12.11.2013 წელს ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელის მიერ, რეესტრის № 131191126, აკაკი მოსაშვილი (პირადი ნომერი: 01001003808), გურამ ონიანი (პირადი ნომერი: 01025014420). ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულების 28-ე მუხლის შესაბამისად, სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია. სხდომა დაფუძნების ხელშეკრულების 26-ე მუხლის შესაბამისად მოწვეულია ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილის, გურამ ონიანის ინიციატივით. სხდომას არ ესწრებოდა მზია ჯაბაური. სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თამარ შანიძე, მდივნად – გურამ ონიანი.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობის თავმჯდომარის გადაყენება და ახალი თავმჯდომარის არჩევა;
2. ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს თამარ შანიძის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ ამხანაგობის ამჟამინდელი თავმჯდომარე, აკაკი მოსაშვილი ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. 2010 წლიდან მოყოლებული დღემდე ვერ დაასრულა მშენებლობის პროცესი. ამჟამად მშენებლობის პროცესი თითქმის შეჩერებულია. იმისათვის, რომ მშენებლობა განახლდეს, თავმჯდომარე არაფერს აკეთებს. ინვესტორმა - გურამ ონიანმა დაფუძნების ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მასზე ნაკისრი ვალდებულება შეასრულა სრულად განახორციელა 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიცია და ამ ეტაპამდე მოიყვანა მშენებლობა, რასაც ვხედავთ დღეს – აშენებულია ოთხი სართული. ჩვენ, ამხანაგობის

დამფუძნებელ წევრებს, ყველას შესრულებული გვაქვს ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულება ამხანაგობის წინაშე; განვახორციელეთ შენატანები, გადავეცით უძრავი ქონება ამხანაგობას, რაც გვევალებოდა. რაც შეეხება აკაკი მოსაშვილს, დაფუძნების ხელშეკრულების მე-13 მუხლის თანახმად იგი ვალდებულია ამხანაგობაში შეიტანოს იმ ოდენობის ფულადი სახსრები, რაც უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებას დამტკიცებული პროექტის მიხედვით. მაგრამ ამისთვის იგი არაფერს აკეთებს, არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, რის გამოც გაჩერებულია მშენებლობა. გამომდინარე აქედან, შემოვდივარ წინადადებით, ამხანაგობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებულ იქნას აკაკი მოსაშვილი და მის ნაცვლად თავმჯდომარედ ავირჩიოთ გურამ ონიანი. აქვე მინდა გავაკეთო პატარა განმარტება: რომ არა გურამ ონიანი, ჩვენი კორპუსის ის ნაწილიც არ იქნებოდა აშენებული, რასაც დღეს ვხედავთ. მიმაჩნია, რომ იგი ამ საქმეს თავს გაართმევს და ბოლომდე მიიყვანს.
თამარ შანიძის წინადადებას გამგეობის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- აკაკი მოსაშვილი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან;
- ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას გურამ ონიანი (პირადი ნომერი: 01025014420).
- ეთხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული მიიღოს ცნობად.
- მიუხედავად თანამდებობიდან გათავისუფლებისა, აკაკი მოსაშვილი ვალდებულია შეასრულოს ამხანაგობის წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულება.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს გურამ ონიანის ინფორმაცია. მან განაცხადა, რომ: ვინაიდან მოხდა ჩემი ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩევა, შესაბამისად, უნდა ავირჩიოთ ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილე. წინადადება შემომაქვს ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას თამარ შანიძე. აქვე მინდა მადლობა მოვახსენოთ იმ ნდობისათვის, რომელიც გამომიცხადეთ. დღემდეც ასე იყო და ამის შემდეგაც ასე იქნება: არ დავზოგავ ძალებს, რომ ამ კორპუსის მშენებლობა დასრულდეს. ამაში თქვენი თანადგომაც დამჭირდება. უნდა ვიმოქმედოთ ერთობლივად, კოორდინირებულად, ურთიერთშეთანხმებით და საერთო

3

ლებით დავასრულოთ კორპუსის მშენებლობა. პირადად ჩემზე რაც იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით კრებამ მიიღო გადაწყვეტილება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩეულ იქნას თამარ შანიძე (პირადი № 01026004310).

გადაწყვეტილებები მიღებულია ერთხმად.

თამარ შანიძე: თამარ შანიძე

ედუარდ მირზოიანი: ედუარდ მირზოიანი

თენგიზ შალაშვილი – წარმომადგენელი გიორგი შაგაშვილი: გიორგი შაგაშვილი

აკაკი მოსაშვილი: აკაკი მოსაშვილი

გურამ ონიანი: გურამ ონიანი

4.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140661893
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.06.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	97857727222214

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდაექვსი ივნისი.
მე, საქართველოს ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის №18, ვამოწმებ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს გამგეობის წევრთა სხდომის ოქმზე, რომელიც წარმოდგენილია ოთხ ცალად, გურამ ონიანის, დაბადებული 04.06.1957 წელს, მცხოვრები თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის დასახლება № 2ა, ბინა 5, პირადი № 01025014220, აკაკი მოსაშვილის, დაბადებული 08.06.1950 წელს, მცხოვრები თბილისში, გლდანის მასივი, II მ/რ, კორპუსი 40, ბინა 21, პირადი № 01001003808, თამარ შანიძის, დაბადებული 05.07.1969 წელს, მცხოვრები თბილისში, ქარელის ქუჩა № 25, პირადი № 01026004310, ედუარდ მირზოიანის, დაბადებული 14.02.1972 წელს, მცხოვრები თბილისში, ვარკეთილი-3, IIIა მიკრორაიონი, კორპუსი 338, ბინა 131, პირადი № 01013013978 და გიორგი შაგაშვილის, დაბადებული 13.04.1990 წელს, მცხოვრები თბილისში, ქარელის 25, პირადი № 01024067690, ხელმოწერების ნამდვილობას. ხელმოწერები შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით ოქმის ყველა გვერდზე. მათი ვინაობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერები შესრულებულია ზემოთაღნიშნული მოქალაქეების მიერ.
გადახდილია სანოტარო საზღაური, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მოსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 120.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 21.60 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2.00 ლარი, სულ 143.60 ლარი.

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი

5

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ამხანაგობა ქარელის ქ. 25"-ის წევრთა კრების ოქმი #

უძრავი ნივთის/ფართის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ქალაქი თბილისი, 22 დეკემბერი 2017 წელი

ამხანაგობა ,, ქარელის ქ. 25 ", მისამართი: თბილისი, ქარელის ქ. 25

ს/კ: 205296883

კრებას ესწრება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა ქარელის ქ. 25"-ის წევრები: თამარ შანიძე (პირადი # 01026004310), ედუარდ მირზოიანი (პირადი # 01013013978), გურამ ონიანი (პირადი #01025014420), აწ გარდაცვლილი თენგიზ შაღაშვილის (პირადი #01024055411) მემკვიდრე გიორგი შაღაშვილი (პირადი #01024067690) და მზია ჯაბაური (პირადი #06001000806).

კრება გადაწყვეტილებუნარიანია.

დღის წესრიგი:

1. მემკვიდრეობის საფუძველზე გიორგი შაღაშვილის (პირადი # 01024067690) ამხანაგობის წევრად მიღება.

2. ამხანაგობის წევრის გიორგი შაღაშვილისთვის (პირადი # 01024067690) საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

კრებამ დაადგინა:

1. აწ გარდაცვლილი თენგიზ შაღაშვილის (პ:ნ 01024055411) ნაცვლად ამხანაგობა ,,ქარელის ქ. 25"-ის დამფუძნებელი წევრი არის მისი კანონისმიერი მემკვიდრე გიორგი შაღაშვილი (პ/ნ: 01024067690, მცხოვრები ქ. თბილისი, ქარელის ქ 25).
2. გიორგი შაღაშვილი რეგისტრირებულია, როგორ მომავალი მესაკუთრე ამხანაგობა ,,ქარელის ქ. 25"-ის საკუთრებაში არსებული შემდეგ საცხოვრებელ ფართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ქარელი, #25, სართული 3, ბინა 11, ფართი (მშენებარე) 100.20 (ასი მთელი ორი მეათედი) კვ.მ, ნაკვეთის საკუთრების ტიპი - თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო სამეურნეო, მიწის დაზუსტებული ფართობი 742 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.10.17.013.019.01.01.011).
3. ამხანაგობამ განიხილა საკითხი, თანახმაა და ადგენს ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაეცეს გიორგი შაღაშვილს (პირადი #01024067690) ამხანაგობის საკუთრებაში არსებული 100.20 (ასი მთელი ორი მეათედი) კვ.მ ფართის მქონე უძრავი ნივთი, რომლის მახასიათებლებია: ქალაქი თბილისი, ქუჩა ქარელი, #25, სართული 3, ბინა 11, ფართი (მშენებარე) 100.20 (ასი მთელი ორი მეათედი) კვ.მ., ნაკვეთის საკუთრების ტიპი - თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო სამეურნეო, მიწის დაზუსტებული ფართობი - 742 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.10.17.013.019.01.01.011).
აღნიშნულ გადაწყვეტილებას ეთანხმება ედუარდ მირზოიანი (პირადი # 01013013978), გურამ ონიანი (პირადი #01025014420), გიორგი შაღაშვილი (პირადი #01024067690) და მზია ჯაბაური (პირადი #06001000806). თამარ შანიძემ ხმის მიცემისგან თავი შეიკავა.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამხანაგობის წევრთა უმრავლესობით და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა ,,ქარელის ქ.25“-ის დაფუძნების შესახებ (ახალი რედაქცია) ხელშეკრულების შესაბამისად (რეესტრის N 130858631, თარიღი 22.08.2013 , ნოტარიუსი ნ. ჯანხოთელი) ლეგიტიმური ძალის მქონეა.

ამხანაგობა ,,ქარელის ქ. #25"

თავმჯდომარე გურამ ონიანი:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N171496441**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**26.12.2017 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნინო მათუაშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**2 38 36 32 591 70 99 74**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**07753782824117**

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

*ორიათასჩვიდმეტი წლის ოცდაექვს დეკემბერს, მე – საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო, მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №10, მომმართა **გურამ ონიანმა** (04.06.1957წ., მცხ. თბილისი, აგრ. უნივერსიტეტის დას. 2ა, ბინა, პირადი № 01025014420)*

*მან წარმოადგინა **ოქმი** და მთხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მხარის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და სსგს ელექტრონული მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზ/აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს; აგრეთვე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მხარემ ჩემი თანდასწრებით წაიკითხა დოკუმენტი და პირადად მოაწერა ხელი წარმოდგენილ დოკუმენტს. ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ მე ვადასტურებ ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე. ნოტარიუსის თანდასწრებით, დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია ერთ გვერდზე და გაცემულია ორ ეგზემპლარად.*

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების (29.12.2011წ) 31-ე მუხლის თანახმად – 4,00 ლარი, აგრეთვე დღგ 0.72 ლარი - საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე, და ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2 ლარი დღგ-ს ჩათვლით თანახმად საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად.

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის წევრთა კრების ოქმი

ქ. თბილისი 20 მარტი 2018 წელი

კრებას ესწრებოდნენ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის წევრები: **თამარ შანიძე** (პირადი №01026004310), **ედუარდ მირზოიანი** (პირადი №01013013978), **გურამ ონიანი** (პირადი №01025014420), **გიორგი შალაშვილი** (პირადი №01024067690); კრებას არ ესწრებოდა **მზია ჯაბაური** (პირადი №06001000806)

კრებას თავმჯდომარეობდა გურამ ონიანი

კრება გადაწყვეტილებაუნარიანია.

<u>დღის წესრიგი:</u>

არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად წარდგენა

<u>დაადგინეს:</u>

მოხდეს არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად წარდგენა ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში (AR1367537 შეთანხმებული კორექტირებული პროექტის შესაბამისად).

დაევალოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის თავმჯდომარეს – გურამ ონიანს, თხოვნით მიმართოს არქიტექტურის სამსახურს, რათა შეათანხმოს წარდგენილი პროექტი და გაიცეს შესაბამისი სანებართვო მოწმობა.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

გურამ ონიანი გურამ ონიანი

თამარ შანიძე თამარ შანიძე

ედუარდ მირზოიანი ედუარდ მირზოიანი

გიორგი შალაშვილი გიორგი შალაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180291316
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.03.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	57853175271418

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, **ორი ათას თვრამეტი წლის ოცი მარტი.** მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, ვამოწმებ **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის წევრთა კრების ოქმზე (20.03.2018 წელი)**, რომელიც წარმოდგენილია ორ ცალად, **თამარ შანიძის** (დაბადებული 05.07.1969 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ქარელის ქ. №25, პირადი №01026004310), **ედუარდ მირზოიანის** (დაბადებული 14.02.1972 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ვარკეთილი 3-ის დას. IIIა მ/რ, კორ. 338, ბინა 131, პირადი №01013013978) და **გურამ ონიანის** (დაბადებული 04.06.1957 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, აგრ. უნივერსიტეტის დას. №2ა, ბინა 5, პირადი №01025014420) და **გიორგი შაღაშვილის** (დაბადებული 13.04.1990 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ქარელის ქ. №25, პირადი №01024067690) ხელმოწერების ნამდვილობას. ხელმოწერები შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით. მათი ვინაობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეებს.

გადახდილია საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად, 16.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 2.88 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 2.00 ლარი, სულ 20.88 ლარი.

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის წევრთა კრების ოქმი №2

ქ. თბილისი 10 თებერვალი 2016 წელი

კრებას ესწრებოდნენ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. 25“-ის წევრები: **მზია ჯაბაური** (პირადი № 06001000806), **ედუარდ მირზოიანი** (პირადი № 01013013978), **გურამ ონიანი** (პირადი № 01025014420), **აკაკი მოსაშვილი** (პირადი № 01001003808) და **თენგიზ შალაშვილი** (პირადი № 01024055411).

კრებას არ ესწრებოდა **თამარ შანიძე** (პირადი № 01026004310). მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

<u>დღის წესრიგი:</u>

ამხანაგობის წევრის – აკაკი მოსაშვილის გასვლა ამხანაგობიდან;

<u>მოისმინეს:</u>

გურამ ონიანის ინფორამცია აკაკი მოსაშვილის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ აკაკი მოსაშვილმა მიმართა განცხადებით ამხანაგობიდან გასვლის შესახებ, რადგან ვერ ხედავს მისი ამხანაგობაში დარჩენის ინტერესს. გურამ ონიანს მიაჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს აკაკი მოსაშვილის განცხადება ამხანაგობიდან გასვლის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

ამხანაგობის წევრები დაეთანხმნენ წინადადებას.

<u>დაადგინეს:</u>

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა „ქარელის ქ. №25“-ის წევრი – აკაკი მოსაშვილი გასულად ჩაითავლოს ამხანაგობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

მზია ჯაბაური მზია ჯაბაური

ედუარდ მირზოიანი ედუარდ მირზოიანი

გურამ ონიანი გურამ ონიანი

თენგიზ შალაშვილი თენგიზ შალაშვილი

აკაკი მოსაშვილი აკაკი მოსაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N160115814

